

წინასწარი გამოძიების პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მათი გამოყენების წესი
(ფოტო და კინოგადაღებები)

შენგელი ფიცხელაური

ივ.ჯავახისვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი,
სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის კათედრა

ანოტაცია

ნაშრონში განხილულია გამოძიების პროცესში ფოტო და კინოგადაღებების ხერხების და საშუალებების გამოყენება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამოძიების პროცესში ფოტო-კინოგადაღების ხერხებისა და მეთოდების გამოყენების გაფართოების მიუხედავად გამოძიებლის მიერ ფოტოგრაფიის გამოყენების ზოგიერთი მომენტები და ცალკეული თეორიული საკითხები საჭიროებენ შემდგომ დაზუსტებებსა და განვითარებას

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში სასამართლო ფოტოგრაფია უნდა დაიყოს მხოლოდ აღმბეჭდავ (ანუ დამაფიქსირებელ) და კვლევით ფოტოგრაფიად. აქვე ვიძლევი ფოტოგრაფიის ამ ორი განყოფილების განმარტებას. აღმბეჭდავი ფოტოგრაფია წარმოადგენს ფოტოგრაფიულ გადაღების სახეებისა და მეთოდების სესტემას, რომლის გამოყენების შედეგად გარე სამყაროს ობიექტები წარმოისახება სინათლემგრძნობიარე ფირზე (ფირფიტაზე) ისეთად როგორც არიან დაკვირვების დროს (თანამედროვე ფოტოგრაფიის ტექნიკური საშუალებების ფარგლებში).

კვლევითი ფოტოგრაფია თავისთავად წარმოადგენს ფოტოგრაფიული გადაღების სახეებისა და მეთოდების სისტემას, რომელიც ჩვეულებრივი დაკვირვების დროსაა, რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნას ობიექტის ადრე უცნობი თავისებურებანი.

საქართველოს საგამომიებო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფოტოგრაფია რჩება მტკიცებულებითი ინფორმაციის ფიქსაციისა და გამოკვლევის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდად.

საკვანძო სიტყვები: ფიქსაცია და გამოკვლევა, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, აღმბეჭდავი ფოტოგრაფია, საგამომიებო ფოტოგრაფია, დამაფიქსირებელი ფოტოგრაფია, მსხვილმასშტაბური ფოტოგადაღება.

დეტექტიური გადაღებაფოტოგრაფირების მეთოდებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ გამოძიებლის მიერ თავის მუშაობაში გამოყენებულ ფიქსაციისა და გამოკვლევის სპეციალურ მეთოდებს შორის.

ცალკეულ საგამომიებო მოქმედებათა ჩატარებისას ვითარების ფიქსაციის ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საკმაოდ საფუძვლიანად არის დამუშავებული.¹

¹ Вороновский Н.Д. Судебная фотография. - Москва. 1939; Потапов С.М. Судебная фотография. - Москва. 1948; СЕЛИВАНОВ Н.А., ЭЙСМАН А.А. Судебная фотография. - Москва. 1965; Антонов А.И., БУНИМОВИЧ Б.Е. Применение следственного чемодана. - Москва, 1952; СЕЛИВАНОВ Н.А. Судебнооперативная фотография. - Москва. 1955; Тахо-Годи Х.М. Пособие по основам научной фотографии в судебной медицине. - Москва. 1965; ТОМИЛИНА В.П. Руководство по судебно-оперативной фотографии. - Кишинев, 1962; ТЕРЗИЕВ Н.,

გამომძიებლის მუშაობის შედეგების რეგისტრაციის ფოტოდა კინოგადაღების ხერხები მყარად დამკვიდრდა პრაქტიკაში. ასევე ფართოვდება გამოძიებაში გამოკვლევის ფოტოგრაფიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები. მაგრამ გამომძიებლის მიერ ფოტოგრაფიის გამოყენების ზოგიერთი მომენტები და ცალკეული თეორიული საკითხები, ჩვენი აზრით, საჭიროებენ დაზუსტებას და შემდგომ განვითარებას.

რუსულ ენაზე არსებულ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნებისათვის შემუშავებულ ფოტოგრაფიული პროცესების ცოდნის სისტემას უწოდებენ “სასამართლო ფოტოგრაფიას”, რაც თავისი დანიშნულების მიხედვით მთლად გამართული არაა. ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია და ამ სახელწოდებით კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში მისი მოთავსების შეუსაბამობა საფუძვლიანად დაასაბუთა პროფ. შ. ფაფიაშვილიმა ო. შინდაძესთან ერთად გამოცემულ ნაშრომში და მას სასამართლო ფოტოგრაფიის ნაცვლად უწოდა “კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია”, რაც ჩვენი აზრით სწორი და ლოგიკურია, ამიტომ მას ჩვენც სასამართლო ფოტოგრაფიის ნაცვლად ყველგან მოვიხსენიებთ კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის სახელწოდებით.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აუცილებლობად გვესახება კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის სისტემის შესახებ საკითხის განხილვა. საგნის საკმაოდ მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა არა მარტო ხელს უწყობს ამ საგნის თეორიულ განვითარებას, არამედ აგრეთვე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მისი მონაცემების პრაქტიკულ გამოყენებაზე.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია კლასიფიცირდება ორ ძირითად სახედ, ორ დიდ განყოფილებად: საგამომძიებლო-ოპერატიულ, ანუ აღმზედავ ფოტოგრაფიად და საგამოკვლევო ფოტოგრაფიად. აქედან პირველ იყენებს გამომძიებელი და ოპერატიული მუშაკი. მეორეს კი ექსპერტი-კრიმინალისტი საექსპერტო კვლევისა და კვლევის შედეგების საილუსტრაციოდ.

პროფ. ს.მ. პოტაპოვი, ჰყოფს რა სასამართლო ფოტოგრაფიას სასამართლო-ოპერატიულ და სასამართლო-კვლევით ფოტოგრაფიად, ამ უკანასკნელს მთლიანად მიაკუთვნებს სასამართლო-ფოტოგრაფიულ ექსპერტიზას.

ამასთან დაკავშირებით იგი მართებულად აღნიშნავს, რომ “სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის შინაარსი მოიცავს ფოტოგრაფიული მტკიცებულებების მიღების მეცნიერულად დამუშავებულ მეთოდებს მხოლოდ სხვადასხვა ნივთიერი მტკიცებულებების აღბეჭდვის საშუალებით”.²

გამომძიებელს ამჟამად გააჩნია საკმაო ცოდნა და შესაძლებლობები, რომ თავის მუშაობაში გამოიყენოს აგრეთვე კვლევითი ფოტოგრაფიის ცალკეული სახეები.

ასეთ აზრს ემხრობიან აგრეთვე ზოგიერთი სხვა ავტორები. მაგალითად, ნ.ა. სელივანოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ “კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდების მიკუთვნება მხოლოდ ექსპერტიზის სფეროსათვის ხელოვნურად ზღუდავს გამომძიებლის შესაძლებლობებს ფოტოგრაფიის გამოყენებაში დანაშაულთა გამოძიების

МАНЦВЕТОВА А. Применение цветной фотографии в криминалистике //Соц законность, 1948, №10; GARTIG B., SCHADLICH R. Zehrbuch fur Kriminalisten. - Berlin. 1955. - S. 193-195, 438-464; Rady J.A. Photography in crime detection. - London , 1948; Салтєвский М.В., ГАПОНОВ Ю.С. Вопросы судебной фотографии и киносьёмки. - Киев, 194; Криминалистика . М, 1999;. - С. 129; ЦЕКОВ ЦЕКО. Криминалистика. - София, 1991. - С. 96; ШЕПТЬКО В.Ю. Довідник слідчого. - Київ, 2001. - С. 31; Ш. ფაფიაშვილი, ო. შინდაძე, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია. ქ. ქუთაისი, 1998წ. და სხვ.

² ПОТАПОВ С.М. Судебная фотография. - Москва. 1948. - С. 95;

დროს”.³ ამავე საკითხთან დაკავშირებით ნ.პ. იაბლოკოვი წერს: “სასამართლო ფოტოგრაფიის დაყოფას ორ განყოფილებად აქვს პირობითი ხასიათი. ორივე ეს განყოფილება მოიცავს თავისთან გადაღებათა ზოგიერთ საერთო სახეებს. გამომძიებლებს დანაშაულთა გამომძიების პროცესში შეუძლიათ წარმატებულად გამოიყენონ კვლევითი ფოტოგრაფიის ცალკეული სახეები.”⁴

ავითარებს რა თავის პოზიციას, ნ.ა. სელივანოვი გვთავაზობს გამიჯნული იქნას სასამართლო ფოტოგრაფია ფოტოგრაფიის გამომძიებლისა და ექსპერტის მიერ გამოყენების მიზნების მიხედვით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნ.ა. სელივანოვი გვთავაზობს, რომ გამომძიებლის მიერ გამოყენებულ ფოტოგრაფიას ეწოდოს სასამართლო-ოპერატიული და ექსპერტის მიერ გამოყენებულს - სასამართლო-საექსპერტო, ე.ი. სასამართლო ფოტოგრაფიის დაყოფას, როგორც ს.მ. პოტაპოვი, აწარმოებს ფაქტიურად სუბიექტის მიხედვით.

ამ პოზიციის მხარდამჭერი თანამედროვე ავტორები უკვე ასახელებენ და უწოდებენ საგამომძიებო, ოპერატიულ-სამძებრო და საექსპერტო ან კვლევით ფოტოგრაფიას.⁵

ჩვენ გვესახება ყველაზე უფრო სწორ და ერთადერთ კრიტერიუმად, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო ფოტოგრაფიის დაყოფას განყოფილებებად, რომ ვაღიაროთ შინაარსი, არსი ფოტოგრაფირების დროს გამოყენებული მეთოდების სისტემისა და, როგორც ამ შინაარსის ასახვა, - ფოტოგრაფირების მეთოდების მოცემული სისტემის გამოყენების შედეგი.

ფოტოგრაფიული მეთოდების სისტემის შინაარსი, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ გამოიყენებს მას - გამომძიებელი თუ ექსპერტი, - შეიძლება იყოს მხოლოდ ორმაგი: ერთ შემთხვევაში ფოტოგრაფირების საშუალებით ობიექტი აღიბეჭდება ისეთად, როგორადაც მას აღვიქვამთ, სხვა შემთხვევაში ფოტოგრაფირების საშუალებით ობიექტი აღიბეჭდება სურათზე განზრახ შეცვლილი სახით ჩვეულებრივ ვიზუალურ აღქმასთან შედარებით, ე.ი. შედეგად ის წარმოგვიდგება არა ისეთად, როგორადაც ჩვენ მას აღვიქვამთ. პირველი სურათის შინაარსი იქნება ზუსტი აღბეჭდვა ობიექტისა მისი ასლის მიღების მიზნით, მეორე სურათის შინაარსი - ფოტოგრაფიის გზით ობიექტის განზრახ შეცვლილი სახის მიღება იმ მიზნით, რომ გამოვლენილი იქნას დამატებითი, მანამდე ჩვენთვის უცნობი ნიშნები და თვისებები.

ასეთი მიდგომისას პრაქტიკულად გამორიცხულია სხვადასხვა შემთხვევითი ფაქტორების: როგორც სუბიექტურის, ასევე ობიექტურის ზეგავლენა, რადგან მეთვალყურე, მისი სუბიექტური თვისებებისა და ობიექტური პირობების სახეზე არსებობისაგან დამოუკიდებლად, ფოტოსურათზე პირველ შემთხვევაში დაინახავს მას, რაც მან იმავე პირობებში დაინახა ნატურაში, ხოლო მეორე შემთხვევაში ყოველი მეთვალყურეთაგანი დაინახავს ფოტოსურათზე ობიექტს არა ისეთად, როგორადაც დაინახეს ფოტოგრაფირებამდე.

ფოტოგრაფიის დაყოფას სასამართლო-ოპერატიულად და სასამართლო-საექსპერტოდ ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ, რის მეორე საფუძველი ისიც არის, რომ რიგ შემთხვევებში შეუძლებელია განვსაზღვროთ, თუ სასამართლო ფოტოგრაფიის კონკრეტულად რომელ განყოფილებას უნდა მივაკუთვნოთ ფოტოგრაფიული სურათების ესა თუ ის სახეები, ასევე შეუძლებელია დადგინდეს - სასამართლო-

³ СЕЛИВАНОВ Н.А. Применение судебной фотографии в работе следователя: Автореф. дисс...канд. юрид. наук - Москва, 1954. - С. 7.

⁴ ЯБЛОКОВ Н.П. Судебно-оперативная фотография /Советская криминалистика. - ч.6. - Москва, 1962. - С.28.

⁵ Криминалистика /Под ред. Н.П. Яблокова. - М., 1999. - С. 184.

ოპერატიული თუ სასამართლო-საექსპერტო გზით შესრულდა ესა თუ ის ფოტოგადაღება.

ეს შეგვიძლია ვაჩვენოთ რამოდენიმე მაგალითზე. ათვალიერებს რა დანაშაულის იარაღს - დანას, რევოლვერს და სხვ., გამომძიებელი აწარმოებს ამ საგნის მასშტაბურ ფოტოგრაფიულ გადაღებას. ამასთან მას შეუძლია გამოიყენოს ორმხრივი გაფანტული განათება, შავ-თეთრი ან ფერადი ფოტოფირი, დაამუშაოს იგი შესაბამისი წესით, ხოლო შემდეგ დაბეჭდოს ფოტოსურათები, მიიღოს რა შედეგად დანის, რევოლვერის და ა.შ. ხარისხიანი გამოსახულება, რომლებზეც მკვეთრად შეიძლება გავარჩიოთ ამ ნივთიერ მტკიცებულებათა ყველა ხილვადი თავისებურებანი. მოცემული ფოტოსურათები დაერთვება დათვალიერების ოქმს, ისინი ახდენენ ოქმის ილუსტრირებას და შევსებას. წარმოშობილ საჭიროებასთან დაკავშირებით დანა, რევოლვერი და ა.შ. სხვა მტკიცებულებათა რიცხვში შეიძლება წარმართული იქნას სამეცნიერო-კვლევით კრიმინალისტიკურ დაწესებულებაში შესაბამისი ექსპერტიზის საწარმოებლად. ექსპერტი ახდენს გაგზავნილი ნივთიერი მტკიცებულებების ფოტოგრაფირებას პრაქტიკულად ისეთსავე პირობებში, როგორც ეს შეასრულა გამომძიებელმა, და შედეგად მიიღებს ანალოგიურ ფოტოსურათებს. ეს სურათები დაერთვება ექსპერტის დასკვნებს და, როგორც პირველ შემთხვევაში, ილუსტრირებას უკეთებენ და ავსებენ მათ. განმარტებითი ტექსტიც კი ფოტოსურათებთან პრინციპში იქნებიან ერთნაირი, მაგალითად: “ნ.-საგან ამოღებული რევოლვერის საერთო ხედი.” ამ ფოტოსურათებს რომ ადგილები შევუცვალოთ, არაფერი არ შეიცვლებოდა და ისინი როგორც ადრე, ისევე შეასრულდნენ იგივე როლს, როგორც ილუსტრირების, დამატებითი მასალა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ რატომ უნდა მივაკუთვნოთ სრულიად ერთიდაიგივე ფოტოსურათების სახეები ხან სასამართლო-ოპერატიულ და ხან სასამართლო-საექსპერტო ფოტოგრაფიას, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოსურათების შინაარსი, მათი არსი, მათი დანიშნულება სრულად ემთხვევა ერთიმეორეს. ვფიქრობთ, რომ არასწორი იქნებოდა ერთიდაიგივე შინაარსის ფოტოსურათების მიკუთვნება სასამართლო ფოტოგრაფიის სხვადასხვა განყოფილებებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში ფოტოსურათი ავსებს დათვალიერების ოქმს, ხოლო მეორეში - ექსპერტის დასკვნებს.

მოყვანილი მაგალითი გარკვეული ხარისხით გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამონაკლისი უარყოფს წესს.

ლ.ნ. გავრილოვი გვთავაზობს, რომ გამოძიების პროცესში გამოყენებული ფოტოგრაფია დავყოთ სამ განყოფილებად: “1) ოპერატიულ-სამძებრო (ან უბრალოდ ოპერატიული) ფოტოგრაფია, რომელიც გამოიყენება მოკვლევის ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის განხორციელებისას, 2) საგამომძიებო-ოპერატიული ფოტოგრაფია, რომელიც გამოიყენება მოკვლევისა და საგამომძიებო ორგანოების მიერ საგამომძიებო მოქმედებათა წარმოებისას, 3) სასამართლო-საექსპერტო ფოტოგრაფია, რომელიც გამოიყენება ექსპერტიზების წარმოებისას”.⁶

ჩვენი აზრით, სასამართლო ფოტოგრაფიის ოპერატიული ორგანოების საქმიანობაზე გავრცელების რეკომენდაციები სწორია. ეს, რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ხარისხს, ამ დროს შესრულებული ფოტოგადაღებები, გარდა აღნიშნული სარგებლობისა, განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება ემსახუროს გამოძიებას, როგორც მტკიცებულებათა წყაროები.

⁶ ГАВРИЛОВ Л.Н. Применение специальных фотографических приёмов и методов при производстве следственных действий: Автореф. дисс...канд. юрид. наук. - Ленинград, 1965. - С.6.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად, როდესაც მიიღწევა დიდი წარმატებები გარემოს მოვლენების მარეგისტრირებელი ხელსაწყოებისა და აპარატების კონსტრუირებასა და დამზადებაში, ვითარდება და სრულყოფილი ხდება კრიმინალისტიკური ტექნიკა, მათ შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მისი დარგი - სასამართლო ფოტოგრაფია.

გამოძიების ორგანოების მუშაკები (ფართო გაგებით) სულ უფრო ხშირად იყენებენ თავიანთ მუშაობაში კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდებს და ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ საგამოძიებო პრაქტიკაში ფოტოგრაფიის შეჭრის პროცესი იქნება მზარდი. მეორეს მხრივ, საექსპერტო დაწესებულებათა მუშაკები, ისევე როგორც ადრე, აუცილებლად გამოიყენებენ აგრეთვე არაკვლევითი ხასიათის ფოტოგადაღებას - გამოსაკვლევი ობიექტების ან შემთხვევის ადგილის გარემოების ჩვეულებრივ ბეჭდურ გადაღებას.

ეს გარემოება, აგრეთვე ყოველი ზემოაღნიშნული ჩვენ გვადლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ამჟამად არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ დავყოთ სასამართლო ფოტოგრაფია სასამართლო-ოპერატიულ და სასამართლო-საექსპერტო ფოტოგრაფიად (ან სასამართლო-კვლევით და სასამართლო-ფოტოგრაფიულ ექსპერტიზად და ა.შ.) არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასებით, ეს ხელს შეუწყობს გამომძიებლის შესაძლებლობათა კანონზომიერ გაფართოებას სასამართლო ფოტოგრაფიის, განსაკუთრებით კვლევითი ფოტოგრაფიის გამოყენების დარგში.

იმ დროს, როდესაც კრიმინალისტიკური ტექნიკა დაბალ დონეზე იდგა, ხოლო გამომძიებლის მუშაობა ფოტოგრაფიის გამოყენების დარგში შემოფარგლული იყო მატერიალური ობიექტების ფოტოგრაფიული რეგისტრაციით, სასამართლო ფოტოგრაფიის ასეთი დაყოფა გარკვეულხარისხოვნად მეცნიერულად დასაბუთებული და გამართლებული იყო, რამდენადაც იგი ასახავდა რეალურ მდგომარეობას. ამჟამად კი, გამომძიებლის მიერ ფოტოგრაფიული მეთოდების დანაშაულთა გამოძიებაში გამოყენების შინაარსმა გადააჭარბა ფორმას. ამიტომ ჩვენ გვესახება, რომ ნ.ა. სელივანოვის მიერ მოყვანილ განსაზღვრებაში ("სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფია - ეს არის ფოტოგადაღებათა სახეების სისტემა, რომლებიც გამოიყენება ... ოპერატიული მიზნებით ნივთიერი მტკიცებულებების გამოსაკვლევად") - არსებობს წინააღმდეგობა გამომძიებლის მიერ სასამართლო ფოტოგრაფიის გამოყენების ფორმასა და შინაარსს შორის. მითუმეტეს, რომ როგორც ჩვენ უკვე ხაზი გავუსვით მოცემულ შრომაში, გამომძიებელს შეუძლია გამოიყენოს და კიდევაც იყენებს კვლევით ფოტოგრაფიას არა მარტო ოპერატიული მიზნებით.

ნიშანდობლივია, რომ უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინათ წარმოიშვა სასამართლო ფოტოგრაფიის სასამართლო-ოპერატიულ და სასამართლო-კვლევით ფოტოგრაფიად დაყოფის ტენდენციაზე უარის თქმა. ასე, ნ.ვ. ტერზიევს არ მოჰყავს სასამართლო ფოტოგრაფიის დაყოფა სასამართლო-ოპერატიულ და სასამართლო-კვლევითად, თუმცა იმას არ აღნიშნავს, თუ რატომ არ ახსენებს ამ ძალზე გავრცელებულ კლასიფიკაციას. აღნიშნავს რა, რომ გამოძიებისას გამოიყენება ალბეჭდვით განსახიერებული და კვლევითი ან მეცნიერული ფოტოგრაფია, ნ.ვ. ტერზიევი ხაზს უსვამს, რომ საგამოძიებო მუშაობაში იყენებენ, ძირითადად, ბეჭდურად განსახიერებულ, ხოლო საექსპერტო მუშაობაში - ბეჭდურად განსახიერებულსაც და კვლევით ფოტოგრაფიასაც.⁷

⁷ ТЕРЗИЕВ Н.В. Понятие судебной фотографии //Криминалистика. - Москва: Юр. литература, 1963. - С. 67-68.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში სასამართლო ფოტოგრაფია უნდა დაეყოს მხოლოდ განმასახიერებელ (ან დამაფიქსირებელ) და კვლევით ფოტოგრაფიად.

ასეთი დაყოფა ობიექტურად ასახავს ნებისმიერი ფოტოგრაფიული გადაღების არსს, რომელიც შესრულებულია დანაშაულის გამოძიებისა და აღკვეთა-აცილების პროცესში. მეორეც, იგი მოსახერხებელიცაა, რადგან ამარტივებს კლასიფიკაციას და ამსუბუქებს სასამართლო ფოტოგრაფიის თეორიულ განვითარებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. მესამეც, სასარგებლოა იმიტომ, რომ თავიდან იშორებს ზედმეტ წინაღობებს გამომძიებლის მუშაობაში ფოტოგრაფიული მეთოდების ხვედრითი წონის გადიდების გზაზე, ხელს უწყობს საგამომძიებო პრაქტიკაში ფოტოგრაფიული გამოკვლევის მეთოდების ფართოდ დანერგვას.

განმასახიერებელი (დამაფიქსირებელი) ფოტოგრაფია წარმოადგენს ფოტოგრაფიული გადაღების სახეებისა და მეთოდების სისტემას, რომელთა გამოყენების შედეგად გარე სამყაროს ობიექტები აისახება სინათლემგრძნობელობით შრეზე ისეთნაირადვე, როგორც იგი დაკვირვებით დაინახება (თანამედროვე ფოტოგრაფიის ტექნიკურ შესაძლებლობათა ფარგლებში).

ამ სახის ფოტოგრაფიის მიზანი ყველა შემხვევაში იქნება ფოტოგრაფირებული ობიექტის ყველაზე უფრო შესაძლებელი ზუსტი ასლის მიღება.

კვლევითი ფოტოგრაფია წარმოადგენს ფოტოგრაფიული გადაღების სახეებისა და მეთოდების სისტემას, რომელთა გამოყენების შედეგად გარე სამყაროს ობიექტები სინათლემგრძნობელობით შრეზე აისახება განზრახ შეცვლილი სახით იმასთან შედარებით, რაც ჩვეულებრივად დაინახება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ ფოტოგრაფირებული ობიექტის მანამდე უცნობი თვისებები.

კვლევითი ფოტოგრაფიის მიზანი, ამდენად, იქნება ადრე უცნობი ფაქტის დადგენა.

ამასთანავე, სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემის მხოლოდ ორ განყოფილებად დაყოფა არ შეიძლება ამომწურავი იყოს. ეს განყოფილებები დაწვრილებით სისტემატიზირდება აგრეთვე სასამართლო-ფოტოგრაფიული გადაღებების სახეების, მეთოდებისა და ხერხების მიხედვით.⁸

გამომძიებლის პროცესში ნებისმიერი ობიექტის ფოტოგრაფირების მეთოდებს შორის, ჩვენი აზრით, არის შემდეგი: ჩვეულებრივი, პანორამული, სტერეოსკოპიული და გაზომვითი ფოტოგადაღებები. ისინი შეიძლება განხორციელებული იქნან სხვადასხვანაირი ხერხებით და ყველაზე უფრო სხვადასხვაგვარ საშუალებათა დახმარებით.

ამასთან დაკავშირებით, არასწორად გვესახება განმასახიერებელ (დამაფიქსირებელ) ფოტოგრაფიისათვის, პანორამულ, სტერეოსკოპიულ და გაზომვით ფოტოგადაღებებთან ერთად ისეთი ფოტოგადაღებების მიკუთვნება, როგორიცაა რეპროდუქციული, მსხვილმასშტაბიანი და საამოცნობო ფოტოგადაღებები.

როგორც ამოცნობითი, ასევე რეპროდუქციული ფოტოგადაღებები ხასიათდება არა ფოტოგრაფიული გამოსახულების მიღების გზით, არამედ განსაზღვრული ობიექტების განსახიერებით (დაფიქსირებით). პირველ შემთხვევაში მხოლოდ ამოცნობის მიზნებისათვის სინათლემგრძნობიარე შრეზე აღდგება (რეპროდუცირდება) ცოცხალი სახეები, გვამები თუ საგნები, მეორე შემთხვევაში იღებენ ბრტყელი ობიექტების (ძირითადად დოკუმენტების) გამოსახულებას ნატურალურ სიდიდეში ან მცირედი

⁸ См.: ГОНЧАРЕНКО В.Г. Науково-технічні засоби в роботі слідчого.- Київ, КДУ, 1972. - С. 41-48;

გადახრით გადიდების ან შემცირების მხარეს. ამოცნობითი და რეპროდუქციული ფოტოგადაღებების პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ჩვეულებრივი, ისე პანორამული, სტერეოსკოპიული ან გაზომვითი მეთოდები ფოტოგრაფირებისა.

რაც შეეხება მსხვილმასშტაბურ ფოტოგადაღებებს, აქ გამოსახულების მიღება ნატურალურ სიდიდეში ან მისი გადიდებით შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივი და მიკროსკოპიული გადაღებების მეთოდებით. ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ მსხვილმასშტაბიანი ფოტოგადაღება შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ განსაზღვრული წრის ობიექტების მიმართ, ის არ შეიძლება მივაკუთვნოთ დამაფიქსირებელ გადაღებებს, არამედ ის არის მხოლოდ მისი ერთერთი სახე, რომელიც კლასიფიცირდება ასახული ობიექტის ზომის მისი ორიგინალის ზომასთან შეფარდების ნიშნით.

სასამართლო დამაფიქსირებელი ფოტოგრაფიის განვითარება და ფოტოგრაფიული მეთოდების პრაქტიკული გამოყენება დანაშაულთა გამოძიებისას შემდგომ მიმდინარეობდა სამი ძირითადი მიმართულებით.

პირველ რიგში მუშავდებოდა ცოცხალი პირების ფოტოგრაფირების ტექნიკური და ტაქტიკური ხერხები რეგისტრაციის, ამოცნობის, ძებნის მიზნებისათვის და შემოწმებისას, აგრეთვე გვამებისა მათი რეგისტრაციისა და ამოცნობისათვის. მეორე და მაქსიმალურად მრავალმხრივ მიმართულებას წარმოადგენდა ფოტოგრაფიული განსახიერების (ფიქსირების) წესებისა და ხერხების შემუშავება ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების (განსაკუთრებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების) ადგილზე, აგრეთვე მათი ჩატარების პირობების და ცალკეული ეტაპების ასახვით. და ბოლოს, გარკვეული ძალისხმევები მიმართული იყო ცალკეული საგნებისა და კვლების ფოტოგრაფირების საშუალებებისა და ხერხების შემუშავებისთვის. სწორედ ამ მიმართულებებით მიმდინარეობს ამჟამადც სასამართლო განმასახიერებელი (დამაფიქსირებელი) ფოტოგრაფიის განვითარება.

სასამართლო განმასახიერებელი (დამაფიქსირებელი) ფოტოგრაფიის შემუშავებული სისტემები, თუმცა გარკვეული ზომით ასახავენ სასამართლო ფოტოგრაფიის განვითარების დონესა და ტენდენციას, მაგრამ მაინც ვერ გვაკმაყოფილებენ სრულად.

ასე, ნ.პ. იაბლოკოვი ახდენს სასამართლო-ოპერატიული ფოტოგრაფიის სისტემატიზირებას ოთხ სახედ: შემთხვევის ადგილის გადაღება, საამოსაცნობო გადაღება, დოკუმენტებიდან ფოტოგრაფიების მიღება და ფოტოგრაფირება სხვა ნაირგვარი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ამასთან პანორამულ, სტერეოსკოპიულ, მეტრულ და ზოგიერთ სხვა ფოტოგადაღებებს მიაკუთვნებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ფოტოგადაღების ხერხებსა და საშუალებებს. იგი აგრეთვე განიხილავს ცალკეულ გადაღებებს მათი კლასიფიკაციის გარეშე სხვადასხვა საფუძვლით და ამასთან დაკავშირებით ერთ რიგში აყენებს ისეთ გადაღებებს, როგორცაა პანორამული, სტერეოსკოპიული, მეტრული და მაგალითად, გატეხვის იარაღების კვლების გადაღება.⁹ გადაღებების მეთოდების, ხერხებისა და სახეების ანალოგიურ შერევას (არევას) უშვებს, ვ.პ. ტომილინაც, როდესაც იძლევა სასამართლო-ოპერატიულ ფოტოგრაფიაში ფოტოგადაღების სახეებისა და ხერხების კლასიფიკაციას. იგი ცალკეულ სახეებს მიაკუთვნებს საორიენტაციო, მიმოხილვით, საკვანძო, დეტალურ, ამოცნობით გადაღებებს და ცალკეული საგნებისა და კვლების გადაღებებს, ხოლო ხერხების მიხედვით ფოტოგადაღებებს ჰყოფს ასეთნაირად(

⁹ Криминалистика. - Москва: МГУ, 1996.

პანორამული (ხერხი), შემხვედრი, ჯვარედინი, სტერეოსკოპიული, გაზომვითი, ამოცნობითი, მსხვილმასშტაბური და რეფლექსური.¹⁰

მოყვანილი სისტემები შეიცავენ ერთ არსებით ნაკლოვანებას (კლასიფიკაციის საფუძველში ჩადებულია არათანაბარნიშნელოვანი ნიშნები (მაგალითად, გადაღების პანორამული ხერხი უნდა მიეკუთვნოს უფრო მაღალი თანრიგის კლასიფიკაციას, ვიდრე შემხვედრი და ჯვარედინი გადაღების ხერხები, რამდენადაც ეს უკანასკნელი გადაღებები შეიძლება შესრულდეს, სხვას რომ გვერდი ავუაროთ, პანორამული ხერხითაც) და არაერთნაირი საფუძვლები.

შეიძლება დავასახელოთ სასამართლო ფოტოგრაფიის სხვა სისტემებიც, რომლებიც ანალოგიური ტიპის ნაკლოვანებებით სცოდავენ.¹¹ ამასთან ყველა ავტორები, რომლებიც კონსტრუირებას უკეთებენ სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემებს, პრაქტიკულად სრულიად არ უთმობენ ყურადღებას სასამართლო ფოტოგრაფიის ცნებას და მის გამოყენებას სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებათა წარმოებისას, შემთხვევის ადგილის დათვალიერების გამონაკლისის გარდა, ხოლო ამ უკანასკნელი მოქმედების წარმოების დროს პრაქტიკულად ფოტოგადაღებათა სახეებსა და ხერხებში ჩართულია ისეთი გადაღებები, როგორცაა გვამის, კვლების, ნივთიერი მტკიცებულებების, დოკუმენტების და სხვა გადაღება.

ჩვენს მიერ აღნიშნული და აგრეთვე ზოგიერთი სხვა უზუსტობანი არ იძლევიან საშუალებას, რომ ისინი მივიღოთ საფუძვლად კრიმინალისტიკის შესასწავლი დარგისათვის თეორიული დამუშავების შექმნისა და პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების რეალიზაციისათვის.

თითქმის ყველა ავტორი, განიხილავს რა ფოტოგრაფიის დახმარებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაციის საკითხს, მიუთითებენ საორიენტირებო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური გადაღებების შესრულების აუცილებლობაზე. არ ვეწინააღმდეგებით რა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ფოტოგადაღებათა ამ სახეების აუცილებლობისა და ეფექტიანობის რეალობას, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ეს ავტორები ზემოაღნიშნულ ფოტოგადაღებებს მიიჩნევენ შემთხვევის ადგილის გადაღებათა სახეებად. მაგრამ ასეთ პოზიციას ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ. სხვა საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების შედეგების ფოტოგრაფიის საშუალებით ფიქსაციის დროსაც შესაძლებელია გამოყენებული იქნან ფოტოგადაღებები, რომლებიც თავისი შინაარსით შეესაბამებიან საორიენტაციო და სხვა გადაღებებს. ამიტომ საორიენტაციო და ა.შ. ფოტოგადაღებების მიკუთვნება მხოლოდ შემთხვევის ადგილის გადაღების სახეებისათვის წარმოადგენს მათი გამოყენების სფეროს გაუმართლებელ დავიწროვებას. სულ სხვაა თუ ვიტყვით, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, როგორც წესი, საჭიროა გადაღებული იქნას შემდეგი ოთხი სახის ფოტოგადაღებები: 1) საორიენტაციო, 2) მიმოხილვითი, 3) საკვანძო და 4) მასშტაბური - დეტალური.

განვიხილოთ რა სქემატურად განმასახიერებელი (დამაფიქსირებელი) სასამართლო ფოტოგრაფიის განვითარების ისტორია, ჩვენ აღვნიშნეთ მისი განვითარების ტენდენცია, საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების ადგილის, ცოცხალი პირების და გვამების, აგრეთვე კვლებისა და ცალკეული საგნების ფოტოგადაღების წესების შემუშავება.

¹⁰ ТОМИЛИНА В.П. Руководство по судебно-оперативной фотографии. - Кишинев, 1962. - С. 69-70;

¹¹ См., например: Салтевский М.В., Гапонов Ю.С. Вопросы судебной фотографии и киносъемки. - Киев: КВШ МВД УССР, 1974. - С.6.

ჩვენ გვესახება, რომ მეცნიერული კლასიფიკაციის საფუძვლად დადებული უნდა იქნას განვითარების პრინციპიალური ტენდენცია, რამდენადაც მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მეცნიერების სისტემის ანდა მისი დარგის სისტემის ყველაზე მეტად სრული შესაბამისობის მიღწევა კლასიფიკაციის შინაარსთან და ამ შინაარსის დიალექტიკური ცვლილებების ასახვა. ასეთი მიდგომა სწორი იქნება სასამართლო ფოტოგრაფიის სისტემის კონსტრუირების დროსაც. ეს მოახდენს აგრეთვე კეთილსასურველ ზეგავლენას სასამართლო ფოტოგრაფიაზეც, როგორც კრიმინალისტიკის დარგზე, და სასამართლო ფოტოგრაფიაზე, როგორც სასწავლო დისციპლინაზე, ასევე სასამართლო ფოტოგრაფიაზე, როგორც დანაშაულთა გამოძიებისა და აღკვეთის დროს გამოყენებულ გადაღებათა მეთოდებისა და სახეების ერთობლიობაზე.

დავეყრდნობით რა ამ დებულებას, შესაძლებელია განვსაზღვროთ განმასახიერებელი (დამაფიქსირებელი) სასამართლო ფოტოგრაფიის სამი სახე: ადგილის ფოტოგრაფირება, პირის ფოტოგრაფირება, საგნის ფოტოგრაფირება. ყოველი ეს ხასიათდება განსაზღვრული საერთო თავისებურებებით და ამასთან დაკავშირებით საჭიროებს ფოტოგადაღების გარკვეული საერთო წესების შემუშავებას.

იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც წყდება ამა თუ იმ ობიექტის ფოტოგრაფირებისას, აგრეთვე სხვადასხვაგვარი ობიექტების თავისებურებებისა და ფიქსაციის ფოტოგრაფიული მეთოდების განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით შეიძლება დავასახელოთ ფოტოგადაღებათა ასეთი სახეები:

1. ადგილის ფოტოგრაფირებისას - შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩხრეკის და ამოღების, ჩვენებების ადგილზე შემოწმების, ამოცნობის, გვამის დათვალიერების და ექსკუმაციის ჩატარების შედეგების ფიქსაციისათვის.

გარდა ამისა, ყოველი ზემოთ დასახელებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის ფოტოგრაფირების დროს შეიძლება წარმოებული იქნას ოთხი სახის გადაღება: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური. ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ობიექტის ხასიათისაგან დამოკიდებულად შესაძლოა წარმოებული იქნას გადაღებები, რომლებიც თავისი შინაარსით სრულად არ შეესატყვისებოდნენ არცერთ დასახელებულ სახეს.

2. პირის ფოტოგრაფირებისას - შემოწმების შედეგების ფიქსაციისათვის, ამოცნობის უზრუნველყოფისათვის, რეგისტრაციის და ძებნის, აგრეთვე დეტექტიური გადაღების მიზნებისათვის.

3. საგნის ფოტოგრაფირებისას - დათვალიერების შედეგების ფიქსაციისათვის, რეგისტრაციისათვის, ამოცნობისა და ძებნის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე რეპროდუქციისათვის.

დანაშაულთა გამოძიებისას ფოტოგრაფირება შეიძლება ჩატარდეს ჩვეულებრივი, პანორამული, სტერეოსკოპიული და გაზომვის მეთოდებით. ამასთან ყოველი ამ მეთოდთაგანი განხორციელდება სხვადასხვაგვარი ხერხებით გადაღების პირობებისა და გადასაღები ობიექტის თავისებურებებისაგან დამოკიდებულად.

ყველაზე მეტად გავრცელებული და საგამოძიებო პრაქტიკის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ხერხებია: ჩვეულებრივი ფოტოგრაფირების მეთოდი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივი, შემხვედრი, ჯვარედინი ხერხებით და სიმალიდან გადაღების ხერხით, პანორამული - ხაზობრივი და წრიული ხერხებით, სტერეოსკოპიული - სტერეოწყვილის ხერხით (არსებობენ აგრეთვე გაშლითი და პოლაროიდული ხერხები), გაზომვითი - მეტრული და მასშტაბური ხერხებით.

გამომძიებელი თვითონვე ან სპეციალისტის დახმარებით ქმნის ინფორმაციულად მდიდარ და იურიდიულად მნიშვნელოვან დანართებს ოქმებთან, რომლებთან ერთადაც ისინი წარმოადგენენ კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებების წყაროებს.

ჩვენ არ ვთვლით არავითარ აუცილებლობად, რომ დაწვრილებით აღვწეროთ გადაღებათა ყოველი სახის წარმოების ტექნოლოგია, რადგან ეს პრაქტიკული ინსტრუქციების საქმეა. ამასთანავე სასურველია მიექცეს ყურადღება ფოტოგრაფიული განსახიერებისა და გამოკვლევის ახალი ხერხების მუდმივი ძიების საჭიროებას. მაგალითად, ყურადღებას იქცევენ თითების ანაბეჭდების რთულ პირობებში (მტვრიან ზედაპირზე, ქაღალდზე, ხეზე, სარკეზე, შუშის სხვადასხვა მხარეებზე და სხვ.) ფოტოგრაფირების ხერხები.¹²

ფოტოგრაფიული მეთოდი წარმატებით შეიძლება გამოიყენოს გამომძიებელმა შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქციისათვისაც, რომელსაც ზოგიერთი კრიმინალისტი გვთავაზობს განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი საგამომძიებო მოქმედება.¹³

ლიტერატურაში აღწერილია ფრიად საჩვენებელი მაგალითები ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქციისა ოპტიკური დაფარების გზით.¹⁴ ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზა შეიძლება არც დაინიშნოს, რადგან აქ არ არის გამაშუალებელი დასკვნის გაკეთების აუცილებლობა, ხოლო შედეგი მიღწეული იქნება ადგილმდებარეობაზე ორიენტირების შეპირისპირებით შემთხვევის ადგილის ფოტოსურათთან თანაფარდობაში და ამის შესაბამისად ანალოგიური სატრანსპორტო საშუალებების განლაგებით.¹⁵

პროცესუალური დაბრკოლებები არ არსებობენ გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში კვლევითი ფოტოგრაფიის, უფრო ზუსტად, მისი ზოგიერთი მეთოდების გამოყენებისათვის. ამასთან, კვლევითი ფოტოგრაფიის გამოყენების შედეგებს თავისი პროცესუალური მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება ჰქონდეთ როგორც წინასწარი დასკვნის, ასევე საბოლოოდ დადგენილი ფაქტის ხასიათი. ნებისმიერ შემთხვევაში კონტრასტების (სიმკვეთრის და ფერადოვნების) შეცვლის მეთოდს, აგრეთვე გარკვეული ზომით სპექტრის უხილავ სხივებში გადაღების მეთოდს შეუძლიათ დაიკავონ ღირსეული ადგილი გამომძიებლის საშუალებათა არსენალში.

ობიექტების ხასიათისა და ფოტოგრაფირების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად შესაძლებელია მიღწეულ იქნეს სიმკვეთრის კონტრასტების შეცვლა ამ ობიექტების განათების სხვადასხვა სპეციალური პირობების შექმნით: ცერადმიმართული განათება, ობიექტის გარშემო ჩრდილის გარეშე განათება, ვერტიკალური განათება, განათება ობიექტის განთავსებით ფოტოკამერასა და განათების წყაროს შორის.

განათების აღნიშნული სპეციალური ხერხები აღიარებულია საკმარისად გამომძიებლის მიერ პრაქტიკული გამოყენებისათვის და ისინი უფრო მეტად

¹² ОМЕЛЬЧЕНКО А.Г. Новые приёмы фотографирования следов рук на месте происшествия // Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: РИО МВД УССР, 1975, вып. 11. - С. 80; ОМЕЛЬЧЕНКО А.Г. Некоторые новые возможности фотосъемки следов рук на труднофиксируемых поверхностях //Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: Вища школа, 1977, вып. 14. - С. 35.

¹³ ЦЫПАРСКИЙ Я.Г. Некоторые приёмы реконструкции на месте происшествия для воспроизведения обстановки и обстоятельств события // Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: РИО МВД УССР, 1966, вып. 2. - С. 30-37.

¹⁴ САЛТЕВСКИЙ М.В. О приемах восстановления материальной обстановки в следственной практике // Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: РИО МВД УССР, 1971, вып. 8. - С. 47;

¹⁵ См. также: Гончаренко В.И., Попов Ю.П. Реконструкция материальной обстановки места происшествия по фотоснимкам //Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: Вища школа, 1983, вып. 27. - С. 87.

გავრცელებულია, მაგრამ, რასაკვირველია, შეიძლება მათი შევსება შეცვლილი საცდელი სქემების გზით.

კვლევით ფოტოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ფერების კონტრასტების შეცვლის ხერხს, ანუ ფერების დაყოფას. შესანიშნავი რუსი კრიმინალისტიკის ე.თ. ბუჩინსკის¹⁶ მიერ ჯერ კიდევ ადრე - გასული საუკუნის დასაწყისში შემუშავებული ეს ხერხი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყნებში ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევისას.

ფერების დაყოფის არსი მდგომარეობს სინათლის ფილტრების დახმარებით ფერადი ობიექტების დამახინჯებული სახით გადმოცემაში.

ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერებისა და მათი ფოტოგრაფიული კვლევისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ასეთი წესით: იმისათვის, რომ შევასუსტოთ ფერი, რომელიც ხელს უშლის დეტალების აღქმას, საჭიროა ვისარგებლოთ იმავე ფერის სინათლის ფილტრით, თუ აუცილებელია რომელიმე ფერის უფრო ნათლად წარმოჩენა, მისი გაძლიერება - უნდა ვისარგებლოთ დამატებითი ფერის სინათლის ფილტრით იმასთან შეფარდებით, რომელსაც ჩვენ ვაძლიერებთ.

დამატებით ფერებად იწოდება ისინი, რომლებიც შერევისას თვალს აძლევენ თეთრი ფერის შეგრძნებას. ასეთ ფერებს, მაგალითად, წარმოადგენენ იისფერი და მოყვითალო-მომწვანო, ლურჯი და ყვითელი, მომწვანო-ლურჯი და ნარინჯისფერი, მოლურჯო-მომწვანო და წითელი, მწვანე და მეწამული.

ფოტოსურათზე ფერადი ობიექტების სიკაშკაშის შეცვლით შესაძლებელია მივიღოთ დეტალების გამოსახულება, რომლებიც თვალს არ ძალუძს გაარჩიოს თვით ობიექტში. ასეთი დეტალები შეიძლება იყოს ამოშლილი, წარეცხილი, ამოჭმული (ამოწვული) ტექსტების შტრიხები, გაუფერულებული ტექსტები და ბეჭდების, შტამპების ანაბეჭდი და ნატვიფრი, წაშლილი და წალეკილი ტექსტები, მინაწერები და ჩანახატები, სისხლის ლაქები ჭრელ ზედაპირებზე.¹⁷

დათვალიერების ოქმში კვლევითი ფოტოგრაფიის ზემოთ დასახელებული მეთოდების გამოყენების შედეგების სწორად გაფორმება (ოქმში გადაღების ფაქტის ჩანაწერის გაკეთება, გადაღების პირობების აღწერა, ოქმზე ფოტოსურათების დართვა, დათვალიერების ყველა მონაწილის ხელისმოწერა და ა.შ.) საშუალებას იძლევა მივიღოთ საქმეზე სრულფასოვანი მტკიცებულებანი.

საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფოტო და კინოგადაღება ჯერ კიდევ რჩება მტკიცებულებითი ინფორმაციის ფიქსაციისა და გამოკვლევის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდად. ამიტომ საჭიროა მისი ღრმა მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკული შესწავლა-დამუშავება და ეს პრობლემა საკმაოდ კარგად დამაჯერებლადაა გამოუქებული ქართველი კრიმინალისტიკების შრომებში,¹⁸ რომლებშიც ყურადღება გამსხვილებულია არა მარტო გამოძიების პროცესში ცალკეული სახის ფოტოგადაღებების წესზე, არამედ თვით კრიმინალისტიკური (სასამართლო) ფოტოგრაფიის ცნებაზე, მის არსსა და მნიშვნელობაზე.

პროფ. შ. ფაფიაშვილისა და ო. მინდაძის განმარტებით კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია არის კრიმინალისტიკური ტექნიკის ის დარგი, რომელიც

¹⁶ БУЧИНСКИЙ Е.Ф. Судебная экспертиза документов. - СПб, 1903.

¹⁷ Фотографические и физические методы исследования вещественных доказательств /Под ред. Н.М. Зюскина и Б.Р. Киричинского. - Москва: юриздам, 1962. - С. 109; Гончаренко В.И. Назв. работа - С.71-72.

¹⁸ იხ. კრიმინალისტიკა, ტ.1 თბ. 1995წ., კრიმინალისტიკა, ტ. 1 თბილისი 2000, შ. ფაფიაშვილი, ო. მინდაძე, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია. ქუთაისი 1998 წ. და სხვ.

ფოტოგრაფიული პროცესების ცოდნის სისტემაზე დამყარებული შეისწავლის და ადგენს დანაშაულის გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო ფოტო, კინო და ვიდეო გადაღებების იმ სპეციალურ ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების, ფაქტების, საგნების, ობიექტების და კვლების აღსაბეჭდად. აგრეთვე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და საექსპერტო კვლევის შედეგების საილუსტრაციოდ.¹⁹

ამავე ნაშრომში კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ხერხებისა და მეთოდების გამოყენება სამი ძირითადი მიმართულებითაა აღწერილი: ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში გამომძიებლისა და სპეციალისტის მიერ და საექსპერტო კვლევის პროცესში ექსპერტი კრიმინალისტის მიერ.

აქედან ოპერატიული მუშაკი კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებულ ფოტოგადაღების ხერხებსა და საშუალებებს იყენებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა (ფარული თვალთვალისა და სხვა) ჩატარების დროს დეტექტიური ანუ ფარული ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებების სახით. რა დროსაც იგი იყენებს მიკრო და ტელეობიექტივებით აღჭურვილ ფოტოაპარატურას.

გამომძიებელი და სპეციალისტი კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის ხერხებსა და საშუალებებს ძირითადად იყენებს ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში აღმოჩენილ მტკიცებულებათა ფიქსაციისათვის, კერძოდ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმების, ამოცნობის, დაკითხვის, დაპირისპირების და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, როგორც წესი, იგი აწარმოებს ოთხი ძირითადი სახის ფოტოგადაღებას. კერძოდ, საორიენტაციოს, მიმოხილვითს, საკვანძოსა და დეტალურ-მასშტაბური სახის ფოტოგადაღებას. ამავე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე გვამის, კვალის, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი დანაშაულის ჩადენის იარაღის და სხვა ნივთიერმტკიცებულებათა მასშტაბური, მსხვილმასშტაბური და სიღრმითი (მეტრული) მასშტაბური სახის ფოტოგადაღება.

რაც შეეხება ექსპერტს. იგი კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებულ ფოტოგადაღების ხერხებსა და მეთოდებს ძირითადად იყენებს შემდეგი მიმართულებით:

1. საგნების, ობიექტებისა და პიროვნების იდენტიფიკაციისათვის მათ მიერ შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვლების მიხედვით,

2. პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ფოტოსურათების მიხედვით,

3. ნივთიერ მტკიცებულებებში უხილავ კვალთა გამოსავლენად (დოკუმენტების გაყალბების ე.წ. სიმპატიური მეღნით ანუ უჩინარი მეღნით შესრულებული ხელნაწერების გამოვლენების, ფაიფურისა და სხვა მის მსგავს ნაწარმზე დატოვებული ხელის თითების უჩინარ კვალთა გამოვლენებისა და ილუსტრაციისათვის და სხვ.),

4. დოკუმენტებში გაყალბების ნიშნების აღმოჩენის, გამოვლინებისა და გამოკვლევისათვის და სხვ.,

5. გამოსაკვლევ ობიექტში ნაკლებად ხილვადი დეტალებისა და ნიშნების გამოვლინებისათვის,

¹⁹ შ. ფაფიაშვილი, ო. მინდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.7-8.

6. ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტიზის კვლევის პროცესის საილუსტრაციოდ და სხვ.²⁰

ამასთან ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის, სპეციალისტისა და სასამართლოს მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების პროცესში გამოყენებულ ფოტოგადაღებათა ხერხებსა და მეთოდებს ზემოაღნიშნული ავტორები უწოდებენ საგამომძიებო-ოპერატიულ ფოტოგრაფიას. ექსპერტის საქმიანობაში გამოყენებულ ფოტოგადაღების ხერხებსა და მეთოდებს, რომლითაც ხდება უხილავი საგნების გამოყენება და გამოკვლევა უწოდებენ საგამოკვლევო ფოტოგრაფიას.²¹ რაც, ჩვენი აზრით, სწორად შეესაბამება თითოეული მათგანის არსსა და დანიშნულებას.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული შრომის ავტორები კვლევით ფოტოგრაფიაში შემუშავებულ ხერხებს, საშუალებებსა და მეთოდებს პირობითად ყოფენ სამ ჯგუფად:

1. გამოსაკვლევ მტკიცებულებებზე არსებული ნაკლებად ხილვადი ნიშნებისა და დეტალების გამოვლინება-დამუშავებისათვის კვლევით ფოტოგრაფიაში შემუშავებული კონტრასტულობის შეცვლის ფოტოგრაფიული მეთოდები,

2. მტკიცებულებითი გამოკვლევისა და სპექტრის უხილავ სხივებში ფოტოგადაღების ხერხები და მეთოდები,

3. მიკროფოტოგრაფიული კვლევის მეთოდები.

პირველ ჯგუფში შემავალი კვლევითი ფოტოგრაფიის მეთოდებიდან უფრო ხშირად იყენებენ ფერგაყოფის კვლევით მეთოდებს შუქფილტრების გამოყენებით კონტრასტულობის შეცვლის ფოტოგრაფიულ მეთოდებს და კონტრასტულობის გაძლიერების ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორცაა კონტრატიპირების, ნეგატივების ურთიერთდამთხვევის ან ემულსიური ფენების ურთიერთშეთავსების მეთოდი.

მეორე ჯგუფში შემავალი კვლევის მეთოდებიდან უპირველეს ყოვლისა მიმართავენ ფოტოგადაღებების ჩატარებას სპექტრის უხილავ სხივებში, კერძოდ: გამოსაკვლევ ობიექტების ფოტოგადაღებას ულტრაიისფერ სხივებში, ინფრაწითელ სხივებში, რენტგენი სხივებში და გამა-სხივებში სპეციალურ ფოტოგადაღებებს.

მესამე ჯგუფში შემავალი კვლევის მეთოდებიდან უმეტესწილად გამოიყენება მიკროფოტოგრაფიული კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა: მიკრო და მაკროფოტოგრაფიის ხერხები და საშუალებები. აგრეთვე, სტერეომიკროფოტოგადაღებისა და ტელემიკროფოტოგადაღების ხერხები.²²

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ასევე რეკომენდებულია გამოძიების პროცესში კინო და თიდეოგადაღებების წარმოება, კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიაში შემუშავებულ ფოტოგადაღებებთან შედარებით კინო და ვიდეოგადაღების ის უმთავრესი უპირატესი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დროს გადასაღები საგნებისა და ობიექტების ფიქსირება ხდება უწყვეტი ციკლით მოძრაობაში, რაც საშუალებას გვაძლევს კინოფირზე აღვბეჭდოთ არა მარტო გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან ობიექტი ერთ მთლიანობაში, არამედ საგამომძიებო მოქმედების წარმოების მთელი პროცესიც მასში მონაწილე პირთა მოქმედებების თანმიმდევრული ასახვით.

²⁰ შ. ფაფიაშვილი, ო. მინდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.7-14.

²¹ იქვე, გვ.9

²² იქვე, გვ.9

დანაშაულთა გამოძიების პროცესში კინო და თიდეოგადაღებები ძირითადად გამოიყენება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების (ფარული თვალთვალის და სხვ.) და საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების დროს. მაგრამ იგი ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე კრიმინალისტიკური ექსპერტიზის წარმოების დროსაც გამოსაკვლევი საგნების, ობიექტებისა და დოკუმენტების დათვალიერება-გამოკვლევის დროს მათზე არსებული ფარულ გამოსახულებათა გამოვლინების მთელი პროცესის აღსაბეჭდავად, ან, როცა საჭიროა რთული სხვადასხვა სახის გამოსაკვლევი გარემოებების, კვლების, საგნებისა და ობიექტების ურთიერთკავშირში აღბეჭდვა და სხვ. ფოტო, კინო და ვიდეოგადაღებები ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

სტატია მიღებულია: 2004-06-17